

სახელი, გვარი : _____

1) რომელ საუკუნეში წარმოიშვა ქრისტიანობა?

ა. ძვ.წ I, ბ. ახ.წ I, გ. ახ.წ II, დ. ახ.წ III.

2) რა ტერიტორიაზე წარმოიშვა ქრისტიანობა?

ა. რომის იმპერიის დასავლეთ ნაწილში, პირენეის ნახევარკუნძულზე.

ბ. რომის იმპერიის ჩრდილოეთით, გერმანულენოვან ტომების დასახლებებში.

გ. რომის იმპერიის აღმოსავლეთით, სირიის ტერიტორიაზე.

დ. რომის იმპერიის აღმოსავლეთით, პალესტინაში.

3) ქრისტიანული სამყაროს წმინდა საღვთო წიგნია...

ა. თორა, ბ. ბიბლია, გ. ყურანი

4) რისგან შედგება ბიბლია _____

5) განმარტეთ : კატაკომბა _____

6) განმარტეთ : აპოლოგია _____

7) განმარტეთ : მონოგრამა _____

8) განმარტეთ : ფენომენი _____

9) ქრისტიანული ბიბლიის უძველესი ნაწილია...

ა. ახალი აღქმა, ბ. ძველი აღქმა, გ. წმინდა წერილი, დ. ლუკას სახარება.

10) ბიბლიის რომელ ნაწილშია გადმოცემული იესო ქრისტეს ცხოვრებაზე...

ა. ძველ აღქმაში, ბ. ახალ აღქმაში, გ. წმინდა წერილში, დ. ა და გ არის სწორი.

11) ქრისტეს სჯული პირველად მიიღო...

ა. რომაელთა მცირე ჯგუფმა, ბ. ირანელთა მცირე ჯგუფმა,

გ. იუდეველთა მცირე ჯგუფმა, დ. არცერთი პასუხი არ არის სწორი.

12) ქრისტიანობის გავრცელება რომის იმპერიაში მიმდინარეობდა...

ა. II საუკუნეში, ბ. III საუკუნეში, გ. IV საუკუნეში, დ. V საუკუნეში.

13) ქრისტიანობის გავრცელებას პირველად დაუპირისპირდნენ...

ა. იმპერატორები და ცენტურიები, ბ. ებრაელები და მათი მოძღვარები,
გ. წარმართი ქურუმები და საიმპერატორო ხელისუფლება.

14) ჰიპონის ეპისკოპოსი, ავგუსტინე ავრელიუსი, რომელსაც „დასავლეთის მასწავლებელი“ უწოდეს, მოღვაწეობდა...

ა. 350-431 წწ, ბ. 354-430, გ. 354-432, დ. 350-354

15) რომის კეისრები ქრისტიანთა მასობრივ რბევას აწყობდნენ...

ა. I-V სს, ბ. I-III სს გ. III-IV სს დ. I-IV სს.

16) ჩვეულებრივ მოციქულთა ეპოქას უწოდებენ...

ა. I-ს, ბ. II-სს გ. III-სს დ. IV-სს.

17) სახარების მიხედვით, რამდენი მოწაფე ჰყავდა ქრისტეს? (2ქ)

18) იმპერატორ დიოკლეტიანეს, რომელიც სასტიკად დევნიდა ქრისტიანებს, მოღვაწეობის წლებია...

ა. 284-300 წწ, ბ. 284-302 წწ, გ. 280-305 წწ, დ. 284-305 წწ.

19) მოციქულთა მოღვაწეობა საფუძველი გახდა რომის პაპებისთვის...

ა. I-V სს, ბ. I-III სს გ. IV-V სს დ. IV-VI სს.

20) კონსტანტინე I დიდი მოღვაწეობდა...

ა. 306-336, ბ. 305-337, გ. 304-336, დ. 306-337.

21) კონსტანტინე I-მა რჯულშემწყნარებლობის აქტი გამოსცა...

ა. 310 წელს, ბ. 313 წელს, გ. 325 წელს, დ. 330 წელს.

22) კონსტანტინე I-ის რჯულშემწყნარებლობის აქტის ეწოდა...

ა. „კონსტანტინოპოლის ედიქტი“, ბ. „ნიკეის ედიქტი“,
გ. „მილანის ედიქტი“, დ. „ქალკედონის ედიქტი“.

23) კონსტანტინე I-მა ქრისტიანობას რომის იმპერიაში გამორჩეული ადგილი მიანიჭა...

ა. 320 წელს, ბ. 322 წელს, გ. 324 წელს, დ. 330 წელს.

24) ეკლესიის მამად წოდებული - ევსევი კესარიელი, რომელმაც აღწერა „კონსტანტინეს ცხოვრება“, მოღვაწეობდა...

ა. 206-339 წწ, ბ. 205-338, გ. 206-338, დ. 205-339.

25) იმპერატორ კონსტანტინემ, 40 ათასიან ჯართან ერთად, ლაშქრობის დროს, ცაზე ჯვარი დაინახა, რომელმაც მზე დაჩრდილა და მასზე გამოისახა „ამით სძლიე“. ეს მოვლენა მოხდა...

ა. 311 წელს, ბ. 312 წელს, გ. 314 წელს, დ. 316 წელს.

26) ქრისტიანობა რომის თითქმის ყველა პროვინციაში დამკვიდრდა...

ა. V სს, ბ. III ს, გ. IV ს, დ. VI ს.

27) ევროპაში გერმანული ტომები გაქრისტიანებას იწყებენ...

ა. V ს, ბ. III ს, გ. IV ს, დ. VI ს.

28) ბურგუნდები და ფრანკები გაქრისტიანდნენ...

ა. V ს, ბ. III ს, გ. IV ს, დ. VI ს.

29) ბურგუნდიის მეფის ქრისტიანი ასული იყო...

ა. კლოტილდა, ბ. ესტერი, გ. ბულტროგოტა, დ. ვულდეტრადი.

30) ფრანკთა პირველი ქრისტიანი მეფე - ხლოდვიგ I-ის მოღვაწეობის წლებია...

ა. 460-511, ბ. 416-511, გ. 410-510, დ. 466-511.

31) საფრანგეთის მეფეჰერალდიკური ნიშანია...

ა. ტიტა, ბ. ჯვარი, გ. შრომანი, დ. მზე.

32) ხლოდვიგ I მოინათლა...

ა. 496 წლის 25 დეკემბერს, ბ. 490 წლის 25 დეკემბერს,

გ. 480 წლის 25 დეკემბერს, დ. 496 წლის 25 ნოემბერს.

33) საქართველოსა და სომხეთში ქრისტიანობა აღიარეს...

ა. V ს, ბ. III ს, გ. IV სს, დ. VI ს.

34) სომხეთის გაქრისტიანების თარიღად ითვლება...

ა. 300 წ, ბ. 301 წ, გ. 305 წ, დ. 308 წ.

35) წმინდა გრიგოლ განმანთავისუფლებელი, რომელიც სომხეთის სახელმწიფო ეკლესიის პირველი კათალიკოსი იყო, მოღვაწეობდა...

ა. 300-325 წწ, ბ. 302-326 წწ, გ. 305-328 წწ, დ. 302-324 წწ.

36) სომხეთის მეფე თრდატ III დიდის მოღვაწეობის წლებია...

ა. 287-335 წწ, ბ. 287-330 წწ, გ. 280-325 წწ, დ. 270-300 წწ.

37) სომეხი ისტორიკოსი მოვსეს ხორენაცი მოღვაწეობდა...

ა. V ს, ბ. III ს, გ. IV სს, დ. VI ს.

38) რომელმა წმინდანმა შეძლო სომხეთიდან გაქცევა და საქართველოში შემოსვლა?

ა. წმ. მარიამმა, ბ. წმ. გრიგოლმა, გ. წმ. ნინომ, დ. წმ. ანდრეამ.

39) რამდენი წელი იჯდა გრიგოლი ხორ ვირაპის ქვის ორმოში, რომელიც მოგვიანებით გამოუშვეს და დიდი პატივით მიიღეს ქ. ვაგარშაპტში.

ა. 9 წელი, ბ. 10 წელი, გ. 12 წელი, დ. 13 წელი.

40) ირანის დასავლეთ მეზობელ ქვეყნებში და თვითონ ირანშიც ქრისტიანობა საკმაოდ ფართოდ იყო გავრცელებული...

ა. II ს-ში, ბ. III ს-ში, გ. IV ს-ში, დ. V ს-ში.

41) რომის იმპერიაში ქრისტიანობა ოფიციალურ რელიგიად გამოცხადდა...

ა. II საუკუნის 20-იან წლებში, ბ. III საუკუნის 40-იან წლებში,

გ. IV საუკუნის 30-იან წლებში, დ. V საუკუნის 30-იან წლებში.

42) განმარტებები : კაპადოკია, პატრისტიკა, დოქტრინა.

1.

2.

3.

43) იმ პერიოდში სასანიანთა ირანის რელიგია იყო...

ა. ისლამი, ბ. მაზდეანობა, გ. ქრისტიანობა, დ. იუდაიზმი.

44) საქართველოში ქრისტიანობის გავრცელება იწყება...

ა. I საუკუნიდან, ბ. II საუკუნიდან, გ. III საუკუნიდან, დ. IV საუკუნიდან.

45) პირველად ვინ იქადაგეს ქრისტიანობა ქართლში?

ა. წმ. ნინომ და იაკობა, ბ. წმ. გიორგიმ და ნიკოლოზმა, გ. წმ. ანდრიამ და სვიმონმა

46) წმ. სვიმონი კანანელი გარდაიცვალა საქართველოს ტერიტორიაზე. სად დაკრძალეს ის?

ა. მცხეთაში, ბ. უჯარმაში, გ. არმაზციხეში, დ. ანაკოფიაში.

47) ქ. ნასტაგისი არსებობდა...

ა. მდ. მტკვრისა და ქსნის შესართავთან, ბ. მდ. აფსარისა და ოლთისისწყლის შესართავთან

გ. მდ. ეგრისისწყლის და ცხენისწყლის შესართავთან დ. მდ. დებედასა და მტკვრის შესართავთან.

48) III საუკუნით დათარიღებული მცირე ზომის ტაძრები ფიქსირდება...

ა. დიმნაში, ბ. თუხარისში, გ. არმაზციხეში, დ. ნასტაგისში.

49) მცირე ზომის ეკლესიები აგრეთვე გვხვდება...

ა. II ს-ში, ბ. III ს-ში, გ. IV ს-ში, დ. V ს-ში.

50) იმ პერიოდში ქართველთა უმთავრესი სალოცავი იყო...

ა. რუისი, ბ. ბოდბე, გ. ფოკა, დ. სვეტიცხოველი.

51) წმინდა ნინოს საქართველოში შემოსვლისა და გაქრისტიანების შესახებ ვრცელ ცნობებს გვაწვდის ქართული საისტორიო და ჰაგიოგრაფიული ნაშრომები. კიდეც რომელი წყაროებით ვიგებთ ამ მოვლენის შესახებ?

ა. სომხური და რომაულ-ბერძნული, ბ. სომხური და ბერძნულ-თრაკიული

გ. სომხური და ბერძნულ-ლათინური, დ. სომხური და რომაულ-სპარსული.

52) რომელი დღე ითვლება წმინდა ნინოს ხსენების დღედ?

ა. 14 მაისი, ბ. 14 იანვარი, გ. 16 მაისი, დ. 16 იანვარი.

53) წმინდა ნინო წარმოშობით იყო...

ა. კონსტანტინოპოლიდან, ბ. იერუსალიმიდან, გ. კაპადოკიიდან, დ. ათენიდან.

54) წმინდა ნინოს მამა - ზაბილონი იყო...

ა. წარჩინებული სომეხი სარდალი, ბ. წარჩინებული ბერძენი სარდალი

გ. წარჩინებული პარტიელი სარდალი, დ. წარჩინებული რომაელი სარდალი.

55) წმინდა ნინოს დედა - სუსანა - იყო...

ა. კონსტანტინოპოლის პატრიარქის და, ბ. იერუსალიმის პატრიარქის და,

გ. რომის მთავარეპისკოპოსის და, დ. ქართლის მამასახლისის და.

56) რამდენი წლის იყო ნინო, როდესაც ზაბილონმა უარყო საერო ცხოვრება, მთელი თავისი ქონება გლახაკებს დაურიგა, თვითონ კი ბერად აღიკვეცა...

ა. 11 წლის, ბ. 12 წლის, გ. 15 წლის, დ. 18 წლის.

57) ნინო და დედამისი ჩავიდნენ იერუსალიმში, სადაც ნინო მიაბარეს...

ა. სუსანას, ბ. იაკობს, გ. პეტრეს, დ. სარას.

58) განმარტეთ : კვართი : _____

59) ნინო აღმზრდელისგან ქრისტეს სჯულს სწავლობდა და სწორედ მისგან შეიტყო, რომ ქრისტეს სამოსელი წილად ხვდათ მცხეთელ მოქალაქეებს, რომლებსაც ის წაუღიათ...

ა. დმანისში, ბ. აჭარაში, გ. ქუთაისში, დ. მცხეთაში.

60) დაწერეთ ნინოს საქართველოში შემოსვლისა და მისი ღვთაებების დღესასწაულში მონაწილეობის მიღების შესახებ (5ქ) ...

61) გაქრისტიანების ზუსტი თარიღი უცნობია, მაგრამ მიჩნეულია...

ა. 324 წელი, ბ. 326 წელი, გ. 328 წელი, დ. 330 წელი.

62) დაწერეთ ის ორი სასწაული, რომლითაც მირან მეფემ და ნანა დედოფალმა ქრისტეს სჯული იწამეს (5 ქ)

63) V საუკუნის მეორე ნახევარში გატარებული საეკლესიო რეფორმის შედეგად, ქართულმა ეკლესიამ ბიზანტიის ეკლესიისგან ავტოკეფალია მოიპოვა. რომელმა მეფემ განახორციელა ეს რეფორმა?

ა. ფარნავაზმა, ბ. არტაგმა, გ. მირიანმა, დ. ვახტანგ გორგასალმა.

64) სულ რამდენი საეკლესიო კრება ჩატარდა?

ა. 7, ბ. 8, გ. 9, დ. 10.

65) საეკლესიო კრებები მიმდინარეობდა...

ა. III-VII სს, ბ. II-VIII სს, გ. IV-VII სს, დ. IV-VIII სს.

66) პირველი საეკლესიო კრება გაიმართა...

ა. ქალკედონში, ბ. ეფესოში, გ. კონსტანტინოპოლში, დ. ნიკეაში,

67) მეორე საეკლესიო კრება გაიმართა...

ა. ქალკედონში, ბ. ეფესოში, გ. კონსტანტინოპოლში, დ. ნიკეაში.

68) მესამე საეკლესიო კრება გაიმართა...

ა. ქალკედონში, ბ. ეფესოში, გ. კონსტანტინოპოლში, დ. ნიკეაში.

69) მეოთხე საეკლესიო კრება გაიმართა...

ა. ქალკედონში, ბ. ეფესოში, გ. კონსტანტინოპოლში, დ. ნიკეაში.

70) მეხუთე საეკლესიო კრება გაიმართა...

ა. ქალკედონში, ბ. ეფესოში, გ. კონსტანტინოპოლში, დ. ნიკეაში.

71) მეექვსე საეკლესიო კრება გაიმართა...

ა. ქალკედონში, ბ. ეფესოში, გ. კონსტანტინოპოლში, დ. ნიკეაში.

72) მეშვიდე საეკლესიო კრება გაიმართა...

ა. ქალკედონში, ბ. ეფესოში, გ. კონსტანტინოპოლში, დ. ნიკეაში.

73) პირველი საეკლესიო კრება გაიმართა...

ა. 313 წ, ბ. 326 წ, გ. 325 წ, დ. 337 წ,

74) მეორე საეკლესიო კრება გაიმართა...

ა. 381 წ, ბ. 382 წ, გ. 384 წ, დ. 388 წ,

75) მესამე საეკლესიო კრება გაიმართა...

ა. 401 წ, ბ. 431 წ, გ. 451 წ, დ. 452 წ,

76) მეოთხე საეკლესიო კრება გაიმართა...

ა. 401 წ, ბ. 431 წ, გ. 451 წ, დ. 452 წ,

77) მეხუთე საეკლესიო კრება გაიმართა...

ა. 550 წ, ბ. 552 წ, გ. 553 წ, დ. 555 წ,

78) მეექვსე საეკლესიო კრება გაიმართა...

ა. 680-682 წწ, ბ. 680-681 წწ, გ. 680-683 წწ, დ. 679-684 წწ,

79) მეშვიდე საეკლესიო კრება გაიმართა...

ა. 787 წ, ბ. 788 წ, გ. 794 წ, დ. 798 წ,

80) ჩამოთვალეთ ყველა საეკლესიო კრების, მათ შორის დიდი სქიზმის, წელი და შედეგები. (10 ქ).

1.

2.

3.

4.

5.

6.

7.

81) რა გახდა ბიზანტიისა და ირანის დაპირისპირების საბაზი?

ა. ჰეგემონობა მცირე აზიაში, ბ. ჰეგემონობა ეგვიპტეში, გ. ჰეგემონობა აბრეშუმის სავაჭრო გზისთვის.

82) სასანიანთა ირანი ჩამოყალიბდა...

ა. ძვ.წ II, ბ. ძვ.წ III, გ. ახ.წ II, დ. ახ.წ III.

83) სპარსელებმა მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვეს ბიზანტიის ჯარზე და იმპერატორი ვალენტინიანე შეიპყრეს...

ა. 260 წელს, ბ. 261 წელს, გ. 262 წელს, დ. 263 წელს.

84) რომაელთა ჯარების გამარჯვებამ სპარსელებზე მძიმედ იმოქმედა და მათ შორის გაფორმდა ნისიბინის ზავი...

ა. 266 წელს, ბ. 268 წელს, გ. 269 წელს, დ. 275 წელს.

85) ნისიბინის მეორე ზავი, სადაც სასანიანებმა ნაწილობრივ აღადგინეს პოზიციები დაპყრობილ ტერიტორიაზე, დაიდო...

ა. 360 წელს, ბ. 361 წელს, გ. 363 წელს, დ. 369 წელს.

86) ირანმა და ბიზანტიამ კავკასია გავლენის სფეროებად გაიყო...

ა. 380 წელს, ბ. 383 წელს, გ. 386 წელს, დ. 387 წელს.

87) წყარო (12ქ) (2011 წლის ეროვნული გამოცდის ტესტის N2 ვარიანტიდან)

(12) 27. ნაწყვეტი ფრანგი მოგზაურის ჟ.პ. დე ტურნეფორის (1656–1708)¹ ნაშრომიდან
„მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში“

დმერთმა ინება, რომ იბერიელები, რომელთაც დღეს ჩვენ ქართველების სახელით ვიცნობთ, ჭეშმარიტ რწმენაზე ერთმა ქრისტიანმა ტყვე ქალმა მოაქცია. მან თავისი სასწაულებრივი მოქმედებით გააქრისტიანა ეს ხალხი და განკურნა მათი მეფე თვალებში სისხლის ჩაქცევისაგან, რაც მას ნადირობის დროს მოსვლია. სოკრატე დასძენს, ახლადმოქცეულებმა კონსტანტინეს ეპისკოპოსები სთხოვესო განსასწავლად; პროკოპი კი ირწმუნება, ეს ხალხი ამ დროისათვის უკვე ჭეშმარიტი ქრისტიანები იყვნენო...

დღეს აქ ყველაფერი შეცვლილია. საქართველოს მეფე, რომელიც მხოლოდ ქვეყნის მმართველის ფუნქციას ასრულებს, სარწმუნოებით აუცილებლად მაჰმადიანი უნდა იყოს, რადგან სპარსეთის ხელმწიფე მმართველად ისე არავის დანიშნავს, თუ იგი არ გამაჰმადიანდა. ჩვენი იქ ყოფნის დროს თბილისის მეფეს ერეკლე² ერქვა. იგი ბერძნული სარწმუნოებისა ყოფილა, მაგრამ მისთვის რწმენა შეუცვლევინებიათ. ამბობდნენ, ეს ხელმოცარული მეფე ორივე რელიგიას ერთდროულად აღიარებსო: დადის მეჩეთშიც, ასევე მისი უწმინდესობის პაპის სადღეგრძელოსაც სვამსო. იგი ძალზე მერყევი და ორჭოფი მეფე გახლდათ. შეიძლებოდა მისთვის ათასჯერ შეეცვლევინებინათ აზრი ისეთ საქმეზე, რომელიც დღესავით ნათელი იყო.

კითხვები:

- (1) 27.1. რა ერქვა ტექსტში მოხსენიებულ ქართველთა გამაქრისტიანებელ „ტყვე ქალს“?
- (1) 27.2. რომელ საუკუნეში მოაქცია „ტყვე ქალმა“ ქართლი?
- (1) 27.3. ვინ იყო „ქართველთა მოქცევისას“ ქართლის მეფე?
- (1) 27.4. რომელი სახელმწიფოს მმართველი იყო ტექსტში ნახსენები კონსტანტინე?
- (1) 27.5. რომელ სახელმწიფოში მოღვაწეობდა ტექსტში ნახსენები პროკოპი კესარიელი?
- (1) 27.6. რომელ საუკუნეში მოღვაწეობდა პროკოპი კესარიელი?
- (1) 27.7. თქვენი აზრით, რატომ მოიხსენიებს ავტორი საქართველოს მეფეს „მხოლოდ ქვეყნის მმართველის ფუნქციის შემსრულებლად“?
- (1) 27.8. რა იგულისხმება „ბერძნულ სარწმუნოება“-ში?
- (1) 27.9. რომელი ეკლესიის მეთაურია პაპი?
- (1) 27.10. რომელი კონკრეტული სამეფოს მეფე იგულისხმება „თბილისის მეფეში“?
- (1) 27.11. რა ტიტულს ატარებდა სპარსეთის ხელმწიფე?
- (1) 27.12. ტექსტის მიხედვით, მოიყვანეთ არგუმენტი, რომლიც ერეკლე მეფის მერყევ ხასიათზე მიუთითებს?